ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

დადგენილების პროექტი შემუშავება განპირობებულია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" განხორციელებული ცვლილებების, ასევე, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 1 აპრილიდან მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ უფლებამოსილება, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 209^{3}-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვისთვის დააკისროს პირს სახდელი, რის შედეგადაც მოხდება მყისიერი და ეფექტური რეაგირება სამართალდარღვევაზე. მუნიციპალიტეტი ხდება უფლებამოსილი თავად განსაზღვროს სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის სახდელის გამოყენების საკითხი და სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანო. თუ 209^{3}-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის 290^{6} მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას). წარმოდგენილი პროექტით, ასევე, მტკიცდება აღნიშნული ცვლილებით მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა და საჯარიმო ქვითრის ფორმა, რომლებიც წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის ფორმებს და ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჭიროებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშის შეთანხმებას. აღნიშნული დადგენილებით

მტკიცდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის და ჩამოწერის ფორმები.

აღნიშნული დადგენილებით, ასევე, განისაზღვრა სამართალდარღვევის შინაარსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები და პირები.

აღნიშნული პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ, ხოლო საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში მალხაზ წიქორია.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად
საკრებულო ადგენს:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: ბექა შენგელიამ

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში (სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016467; ვებგვერდი - www.matsne.gov.ge: 31.03.2022):

ა) დადგენილები სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბ) დაგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე- 2 ნაწილის „ნ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 118-ე, 122-ე-128-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 209^3, 239-ე მუხლის მე-14, მე-14^1, 27-ე, 66-ე და 67-ე ნაწილების, 240-ე და 240^1 მუხლების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" 47-ე მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1, დანართი N2, დანართი N3 და დანართი N5 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით;

დ) დამტკიცდეს საჯარიმო ქვითრის ფორმა დანართი N2[1] შესაბამისად;

ე) დანართი N4 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ბექა შენგელიამ

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს.
2. ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად, მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი განისაზღვრება კანონით და შესაბამისი სამართალსუბიექტების მიერ დადგენილი წესის საფუძველზე.
3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან", ,,ნარჩენების მართვის კოდექსთან" და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსთან". აღნიშნული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩამონათვალი.
4. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

იურიდიულიი განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია